საქართველოს პარლამენტი

# ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ: (995 32) 28 17 20
(995 32) 28 16 37
ფაქსი: (995 32) 28 17 20
ელ. ფოსტა: socialcom@parliament.ge

№ 11401
07 11 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომიტეტის

## დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით
მომზადებულ საქართველოს პარლამენტის
დადგენილების პროექტზე

**"ინვალიდობის საკითხთა სახელმწიფოებრივი მართვის სისტემების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ"**

და

**"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია"**

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2008 წლის 16 ოქტომბერს სხდომაზე განიხილა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი "ინვალიდობის საკითხთა სახელმწიფოებრივი მართვის სისტემების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ" და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია."

კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი "ინვალიდობის საკითხთა სახელმწიფოებრივი მართვის სისტემების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ" და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია" საკანონმდებლო პროცედურების დაწყების მიზნით გადაეცეს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომისათვის წარსადგენად და საკანონმდებლო პროცედურების დასაწყებად.

კომიტეტის გადაწყვეტილებით აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის პლენარულ და კომიტეტების სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი წერეთელი.

ოთარ თოიძე,

**კომიტეტის თავმჯდომარე**

**შემსრულებელი: თ. სხირტლაძე 281659**